№2386 2015 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

2017 წლის 25 დეკემბრისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების სრულფასოვნად და მაღალი სტანდარტებით ჩასატარებლად, ქ. თბილისში, მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2017 წლის 25 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის,

უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების სრულფასოვნად და მაღალი სტანდარტებით ჩასატარებლად, ქ. თბილისში, მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისა და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის მიერ, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**